რემედასის საქართველოს ცენტრალური კომი-
ტეტის ყოველთვიური ორგანო

წელიწადი მეშვიდე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 7
ივლისი
1930

რაზმი

რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის
ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5, II-რე სართ.
ტელ. 17-42.

ანტიიმპერიალისტური წითელი დღე

მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონურმა შტაბმა — კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, გასულ 1929 წ. ისტორიული დადგენილებით: წინადადება მისცა თავის სექციებს ყოველწლიურად, პირველ აგვისტოს ჩაატარონ ანტიიმპერიალისტური დღე.

ამ დღის ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალის ყველა სექციებმა მობილიზაცია უნდა გაუკეთონ რამოდენიმე ასეულ მილიონ მუშებსა და გლეხებს, გამოიყვანონ ისინი ქუჩებში ომის პროვოკაციის წინააღმდეგ შესაბრძოლებლად.

მსოფლიო პროლეტარიატი ვალდებულია ხმა აიმაღლოს იმ საზიზღრობის წინააღმდეგ, რასაც აშკარად და ფარულად ამზადებენ: ჩინეთის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნის იმპერიალისტური მთავრობები და მათი ყურმოჭრილი ლაქიები, მსოფლიო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები და მათი ფეხის ამყოლნი.

სოციალ-გამცემლები, ყოველმხრივად ცდილობენ ხელი შეუწყონ იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობებს რამოდენიმე ას მილიონიან მუშებისა და გლეხთა მასების დასამორჩილებლად, მოსატყუებლად და მათი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ომში ჩასათრევად.

კომუნისტურ ინტერნაციონალს განზრახვა ჰქონდა და აქვს პირველი აგვისტო გადააქციოს ისეთივე მნიშვნელობის დღედ, როგორიც არის პირველი მაისი, რომელსაც მსოფლიო მუშათა კლასი ყოველწლიურად დღესასწაულობს, როგორც თავის პირველ გრანდიოზულ გამარჯვებას.

1886 წ. ამერიკის ერთ-ერთ ქალაქის, ჩიკაგოს მუშებმა თავის ერთსულოვანი გაფიცვით შესძლეს გამხეცებულ ბურჟუაზიის წელში გატეხა: მუშებმა მოიპოვეს 8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის მომატება და მთელი რიგი ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ეს არ იყო საკმაო იმისათვის, რომ პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლას მისცემოდა ყველგან ერთიანი, გარკვეული ხასიათი და შინაარსი.

1889 წ. პარიზში პირველ სოციალისტურ კონგრესზე მეორე ინტერნაციონალის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება, რათა ჩიკაგოს მუშების პირველი გამარჯვების დღე გადაქცეულიყო მსოფლიო მუშათა კლასის დღესასწაულად. ყველამ იცის, რომ ამ დღემ დიდი როლი ითამაშა მუშათა კლასის კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. მან ჩაუნერგა მსოფლიო მუშათა კლასს კლასობრივი ბრძოლის გაბედულება, ენერგია, იგი დარაზმა და გააკაჟა ერთსულოვანი ბრძოლისათვის. ეხლა პირველი მაისი არის უკვე ის დღე, როცა მუშათა კლასის რამოდენიმე ას მილიონიანი ლაშქარი შეუპოვრად იბრძვის ბურჟუაზიის მიერ დამყარებულ ჯოჯოხეთურ შრომის პირობების წინააღმდეგ, რათა მოამზადოს მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვებისათვის წინასწარი პირობები და სხვა.

პირველ აგვისტოს ჩვენის აზრით დღეს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ეძლევა, იმისათვის, რათა მუშათა კლასმა გარკვევით და ნათლად დაინახოს თუ რას ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა, საბჭოთა ხელისუფლების სახით, დედამიწის ერთ-მეექვსედ ნაწილზე, რომლის გიგანტურ მიღწევებს მსოფლიო პროლეტარიატი უშუალოდ ეცნობა და გამოდის ქუჩაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და ეწევა ყველა ქვეყნებში გმირულ ბრძოლას.

ამ დღეს მსოფლიო პროლეტარიატი ერთსულოვნად გამოდის და ირაზმება ქუჩაში, რათა დაანახოს ბურჟუაზიულ ქვეყანას, რომ ის მედგრად დაიცავს მუშათა კლასის ბრძოლის ცეცხლში ჩასახულ საბჭოთა ხელისუფლებას, კაპიტალიზმის შავი ყორნების შემოსევისაგან.

მსოფლიო პროლეტარიატისათვის საბჭოთა ხელისუფლება უკვე გახდა იმ ანთებულ ელექტრო შუქად, რომელიც მას უნათებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბნელ გზებს და ეწევა მას ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ.

დიდი ოქტომბრის საშუალებით მოპოვებულმა, გრანდიოზულმა მიღწევებმა, კიდევ მეტი გარკვევითა და თვალსაჩინოდ დაანახვა მსოფლიო პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას, თუ რომელი გზით არის შესაძლებელი იმპერიალიზმის წყობილების დამსხვრევა და მისი სრულიად განადგურება.

პირველ აგვისტოს მსოფლიო პროლეტარიატი ერთსულოვანად ქუჩებში გამოსვლით კატეგორიულად აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად და მსოფლიო ოქტომბრის გასამარჯვებლად ის იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რათა ბურჟუაზიისა და მისი მაჩანჩალა, სოციალ-გამყიდველების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად ომისათვის სამზადისი, გადააქციოს კლასოებრივ ომად იმპერიალისტური წყობილების დასამსხვრევად და მსოფლიო ოქტომბრის საბოლოოდ გასამარჯვებლად.

გასულ წლის პირველ აგვისტოს წითელი დღე ბურჟუაზიისა და სოც. გამცემლების გაცოფებულ სიმხეცის მიუხედავად ჩატარდა უდიდესი ენტუზიაზმით და სამაგალითო ერთსულოვნებით. ეჭვს გარეშეა, რომ წელსაც პირველი აგვისტოს წითელი დღე ჩატარდება კიდევ მეტი ენტუზიაზმით, ენერგიითა და გვჯერა, რომ ვერავითარი რეპრესიები და ძალადობა ბურჟუაზიისა ვერ შეაშინებს ბრძოლაში გამობრძმედილს, მსოფლიო პროლეტარიატის ძლევამოსილ ლაშქარს.

აი, ამ ისტორიულ დღეს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთმა ორგანიზაციამ

როგორიცაა რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია რემედას, უნდა ითამაშოს დიდი როლი და დადგეს თავის მოწოდების სიმაღლეზე, იბრძოლოს მუშათა კლასის მილიონიან მასებთან ერთად გამხეცებულ კაპიტალიზმის ვერაგული თავდასხმის და თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

ამ საერთაშორისო დღეს კერძოთ საქ. რემედასის ყველა ორგანიზაციებიც უეჭველად მიიღებენ ერთსულოვან მხურვალე მონაწილეობას პარტიასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა მოხდეს მუშების და გლეხების მასიური დემონსტრაციები, მასის წინაშე ფართედ უნდა გაიშალოს ის გრანდიოზული მიღწევები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ აქვს სოციალისტური აღმშენებლობის ყველა ფრონტებზე. ამის დასახასიათებლად რემედასის ორგანიზაციების მიერ უნდა დამზადებული იქნეს შესაფერი პლაკატები, ლოზუნგები, დიაგრამები, კარნავალები, სიტყვიერი და წერილობითი განცხადებები და სხვა, რომლებიც ნათლად დაანახვებენ თვითეულ მუშას და გლეხს, თუ რა დიდი მიღწევები გვაქვს და რა ბრწყინვალე პერსპექტივებს ვისახავთ შემდეგი გრანდიოზული მუშაობისათვის.

ამასთანავე ერთად აუცილებლად საჭიროებას წარმოადგენს დახასიათებულ იქნას ისიც, თუ რა უამრავ მსხვერპლს იღებს მსოფლიო პროლეტარიატი თავიანთ ქვეყნების ბურჟუაზიულ მთავრობებთან ბრძოლაში, რასაც გამხეცებული თეთრი ტერორი ყველა ქვეყნებში სჩადის და შეუბრალებლად სპობს საუკეთესო რევოლიუციონერებს და სიმშილით სიკვდილს უმზადებს რამოდენიმე ასი ათას სულს ციხეებში და მის გარეთ. აი რას გვეუბნება ციფრები თეთრი ტერორის სიმხეცის შესახებ, რაც თითეულ შეგნებულ რემედასელს ნათლად და გარკვევით ავალებს ერთი-ორად გააორკეცოს თავის შეგნება, ორგანიზაცია და ყოველნაირი ღონისძიებით სათანადო მატერიალურ - ფინანსიური და მორალური დახმარებები აღმოუჩინონ კაპიტალის ტყვეობაში მყოფთ და მათ წვრილ ცოლშვილს.

ოფიციალური ბურჟუაზიული გაზეთების ცნობებიდან ყველა სახელმწიფოებში თეთრი ტერორის მსხვერპლი გასაცვიფრებლად იზრდება მაგალითად: 1925 წლიდან 1930 წლამდე: ამოხოცილები ქალი და კაცი უდრის 374.995, დაჭრილები და ნაწამები—228.861 კაცი, დაპატიმრებულნი—550,819 კ. მსჯავრ - დადებულები დაპატიმრებული და ფულით დაჯარიმებულნი 70.577 კ. ჩამოხრჩობილნი—50.411 კ. ყველა სახის დასჯილების საერთო რიცხვი კი—უდრის 1.280.663 კაცს. აქვე საყურადღებოა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ცნობაც რაც კერძოთ ჩინეთს ეხება მაგალითად: გაუსამართლებლად და მსჯავრ დადებულთა საერთო რიცხვი 1927—28 წ. წ. უდრიდა 242.894 კაცს რაც უნდა მიემატოს ზემოთ აღნიშნულ სისხლიან ბალანს 1280663+242.984—სულ კი, თეთრი ტერორის მსხვერპ-

წითელ ფრონტელთა უდიდესი დემონსტრაცია გერმანიაში

ლი უდრის 5 წლის განმავლობაში 1.523.643 კაცს, ხოლო მსჯავრდებულებს კი—საერთოდ მიესაჯათ ყველას 105,472 წელიწადი. აი, ის სიხსნიანი ბალანსი, რითაც გამხეცებული იმპერიალიზმი ოა მისი ყურმოჭრილი მონა მსოფლიო სოციალ-დემოკრატია უმასპინძლდება რევოლიუციონურ პროლეტარიატს და ულარიბეს გლეხობას.

აი, რამდენი უმწიკვლო რევოლიუციონერი ეცემა ამ გრანდიოზულ კლასობრივ ბრძოლებში, თუ როგორ სავსეა ბურჟუაზიული ციხე სიმაგრეები ჩვენი საუკეთესო ამხანაგებით და რა საშინელ მდგომარეობას განიცდიან ისინი და მათი უმწეოდ ქუჩაში გამოსროლილი წვრილი ცოლშვილი.

პირველი აგვისტოს დღეს საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელ მასებს, რომელთაც მსოფლიო რევოლიუციისათვის ბრძოლა მიაჩნიათ თავის საკუთარ საქმედ არ შეუძლიათ არ გაიხსენონ კაპიტალისტური საპყრობილეკატორღლებში გამომწყვდეული ამხანაგები და მათი უპატრონოთ დარჩენილი ოჯახის წევრები, რომლებიც ჩვენგან მოელიან ნუგეშსა და შველას.

მსოფლიო რევოლიუციისათვის დიდი ბრძოლები ჩვენ ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ბევრმა საუკეთესო ჩვენმა რევოლიუციონერმა თავი შესწირა მუშათა კლასის გრანდიოზულ ბრძოლებს, ბევრიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან სჩანს სიმშილით და ათასგვარ შევიწროებით ილუპებიან ციხე-სიმაგრეებში, ხოლო მათი ოჯახები კი—განიცდიან მძიმე მდგომარეობას. რემედასი, როგორც რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია ზრუნავს მათზე ხელი-ხელ ჩაკიდებული მსოფლიო მუშათა კლასთან ერთად როგორც მისი ერთ-ერთი დარაზმული ნაწილი, რომლებმაც უნდა გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლებები ბრძოლის გზაზე, რაც შეიძლება მეტი შეკავშირება რემედასის რიგებში, იდეური შეგნება ყველა რემედასელების უდიდესი მოვალეობისა ანტი-იმპერიალისტურ პირველი აგვისტოს წითელ დღეებში, რაც ერთიორად და სამად უნდა გაიზარდოს...

აი, საუკეთესო პასუხი გამხეცებული ბურჟუაზიის თეთრ-ტერორისა და მის პროვოკაციულად ომის სამზადისის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს პირველ აგვისტოს მსოფლიო პროლეტარიატის დარაზმის დღეს!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონურ შტაბს, რომელიც წინ მიდის რევოლიუციონური მარქსიზმისა და ლენინიზმის გზით.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

დ. ნასარიძე.

რა იქნება ქალაქ ჰაალეში

საბჭოთა კავშირში მოწვეულ პირველ შეკრებისაგან, ეს მეორე — განსხვავდება მით, რომ ის მოეწყობა კაპიტალისტურ ქვეყანაში — გერმანიაში.

იქ მოვლენ, არა მარტო პიონერები, არამედ ბავშთა სხვა პროლეტარულ ორგანიზაციების წევრები, რომლებსაც სურთ ჩვენთან ერთად მუშაობა.

ახალგაზრდა სპარტაკელთა კავშირმა თავს იდვა ამ შეკრებაში ჩაბას:

4.000 ბავში, სპორტიული ორგანიზაციიდან.
1.000 მოსწავლე დელეგატი.
1.000 უმუშევართა ბავში.
1.000 წარმოებაში მომუშავეთა ბავში.

სულ მოელიან 20.000 ბავშს.

მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრება ამ შეკრების პიონერ-ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს.

როცა საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა მოსკოვში, პროლეტარულმა სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო მას, რათა ხელი შეეწყო ამ გრანდიოზულ საქმის ღირსეულად ჩატარებისათვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, სადაც კომუნისტური მოძრაობა სასტიკად იდევნება და ნადგურდება. სადაც საზოგადოებრივი ხასიათის ყოველგვარ შეკრებას მეთვალყურეობს პოლიცია შეკრების მოწყობა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა.

შეკრების წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია თვითეულ, ცალკე პიონერზე. საჭიროა შემცირებულ იქნეს ჩვენი უცხოელი ძმების ხარჯები. ეხლა მათ ძალიან უჭირთ, ცუდ პირობებში არიან, ვინაიდან მილიონ — უცხოელ ბავშთა მამები უმუშევრებად დარჩენ.

საჭიროა თანხები შეკრებაზე დელეგატების გასაგზავნად, მაგალითად, ამერიკის ბავშთა პროლეტარულ ორგანიზაციას არ შეუძლია გაგზავნოს იმდენი დელეგატი, რამდენიც ინგლისისა და საფრანგეთის ორგანიზაციებს.

მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გააგზავნიან 20 დელეგატს, საამსო თანხების შეგროვება უკვე დაიწყო

უნდა ვიჩქაროთ დახმარების აღმოჩენა.

ქალაქი მარილზე

ამრიგად, პიონერთა მეორე საერთაშორისო შეკრება ეწყობა ჰაალეში.

— დიდხანს გაგრძელდება? — იკითხავთ ალბად თვენ.

— სულ ხუთი დღე!

— როდის იწყება შეკრება?

— 1930 წ. ივლისის 23.

— რატომ მაინცდა მაინც ჰაალეში ეწყობა და არა სხვაგან. — ცნობისმოყვარეობთ თქვენ.

— ამისათვის კი, არის მეტად საპატიო მიზეზი. ქ. ჰაალე გაშენებულია — წითელ, შუა - გერმანიის ყველაზე უფრო სამრეწველო რაიონში. ეს რაიონი სამართლიანად ატარებს წითელის საპატიო სახელწოდებას. აქ სწარმოებდა გამძაფრებული რევოლიუციონური შეტაკებები, აქაური მუშათა დიდი უმრავლესობა ემხრობა კომუნისტებს.

ჰაალე მსხვილი სამრეწველო ქალაქია; მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 200.000 კაცს. გაშენებულია გემმავალ მდინარის ზაღეს ნაპირას, მარილის ბუდობების მახლობლად.

ქალაქის უფრო სწორი სახელწოდება არის: ჰაალე-ზალზე, ე. ი. **„ქალაქი მარილზე“.**

უხსოვარ დროიდან ამ ქალაქის მცხოვრებლები მისდევდენ მარილის დამუშავებას. ეხლა კი — ქვანახშირის

უდიდესი ბუდობების აღმოჩენისა და საგზაო მიმოსვლის განვითარებასთან დაკავშირებით ჰალეში სწრაფად იზრდება მრეწველობა.

ქალაქში აუარებელი მანქანათმშენებელი და ლითონის დამმუშავებელი ქარხნებია.

ქალაქს მმართავს, არა ქალაქის საბჭო, როგორც ეს ჩვენში ხდება ხოლმე, არამედ ქალაქის სათათბირო. სათათბიროში დეპუტატებათ (წარმომადგენლებათ) შედიან, როგორც კომუნისტები, ისე ყველა ბურჟუაზიულ პარტიების წევრები.

სათათბიროში კომუნისტებიც ბევრი არიან არჩეულნი, მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ მშრომელთა და ქალაქის მოსახლეობის უღარიბეს ნაწილის საარსებო ინტერესების დაცვას, იმიტომ, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ერთი პირი აქვთ შეკრული — ცალკე, მთლიან ჯგუფათ არიან მათ წინააღმდეგ დარაზმული.

შეკრება — კონგრესი.

მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებათა, ქ. ჰალეს კომუნისტებმა უკანასკნელი წლის განმავლობაში უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს. ამ ქალაქში პროლეტარიატის შეკრება გაცილებით უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე სხვა რომელიმე ქალაქში. ამიტომ ბავშთა მეორე შეკრება ეწყობა სწორედ ამ ქალაქში.

შეკრებასთან ერთად ჰალეში მოეწყობა პროლეტარული ბავშების მეორე საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის დელეგატების არჩევა ჩატარდა ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს. ყველა ქვეყნებიდან შეიკრიბება 500 დელეგატი, მარტო საბჭოთა კავშირი გაგზავნის 21 დელეგატს. არჩევნების ჩასატარებლად, ქვეყნების ყველა ქალაქებში და მხარეში მოწვეულია ბავშთა კონფერენციები.

კონფერენციები საბოლოოდ დაადასტურებენ ყოველი ქალაქების და მხარის დელეგატების სიას.

შეკრება და კონგრესი ჰალეში იქნება პროლეტარული ბავშთა მოძრაობის უდიდესი დათვალიერება მთელი ამ ათი წლის მანძილზე.

ბავშთა ათეული ათასები დემონსტრაციას მოაწყობენ ექსპლოატაციის, გალატაკების, ეროვნული შუღლის გაჩაღებისა და ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების ცდის წინააღმდეგ.

შეკრებას შედეგად უნდა მოჰყვეს და მოჰყვება კიდეც, მთელი ქვეყნის ბავშთა მასიურად დარაზმვა საერთაშორისო პიონერის რიგებში.

ვ. ლ.

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის დღისათვის

საქართველოს რემედასის ორგანიზაციის წევრებს

ახლოვდება საერთაშორისო იმპერიალისტური ომის მე-16 წ. თავი, რომელმაც მთელი მშრომელი კაცობრიობა მიუვანა გალატაკება - განადგურებამდე.

მსოფლიო კვლავ სდგას ახალ იმპერიალისტური ომის საშიშროების წინაშე, რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართული ქნება სოცალსტურ მეურნეობს მშენებლობის ფერხულში ჩაბმულ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კავშირებისაგან, რომელმაც მშრომელ მასების თავდადებულ მოღვაწეობის საშუალებით მიაღწია უდიდეს შედეგებს თავისი ეკონომიკის განვითარების ფრონტზე და რომელიც აწარმოებს სახალხო მეურნეობის გრანდიოზულ რეკონსტრუქციას — კაპიტალისტური სამყარო განირჩევა მით, რომ ეს უკანასკნელი განიცდის გამწვავებულ ეკონომიურ კრიზისებს.

კაპიტალისტურ სისტემაში არსებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე ეს კრიზისი უმაღლეს წერტილს აღწევს. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებიდან დაწყებული, ეს კრიზისი ფართოვდება და გადადის ევროპის, სამხრეთ-ამერიკისა და აზიის ქვეყნებში. კრიზისებს თან სდევს უმუშევრობის არაჩვეულებრივი განვითარება, მუშათა ცხოვრების პირობების გაუარესება და გადასახადის გადიდება.

ამასთან დაკავშირებთ ღრმავდება და უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობს კლასობრივი ბრძოლა და ვითარდება რევოლიუციონური პროლეტარიატისა და ახალშენების დაბეჩავებულ ერთა რევოლიუციონური აღტკინება. საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რათა „არა მარტო დავეწიოთ, არამედ გავუსწროთ“ კაპიტალისტურ ქვეყნების ტეხნიკურ-ეკონომიურ დონეს; საკოლმეურნეო მშენებლობათა გიგანტური მოძრაობა იწვევს კაპიტალისტთა წრეებში უდიდეს განგაშს, რაც ადვილი გასაგებია.

„ამიტომ ყოველთვის, როცა მწვავდებიან კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, ბურჟუაზია იცქირება საბჭოთა კავშირისაკენ, და ფიქრობს ის შეიძლება თუ არა კაპიტალიზმის ესა, თუ ის წინააღმდეგობანი, ან და, ყველა წინააღმდეგობანი ერთად შეჯამებული თავიდან აცილებულ იქნას საბჭოთა კავშირის, ამ რევოლიუციის ციხე-სიმაგრის ხარჯზე, რომელიც არევოლიუციონერებს თავისი არსებობით ახალი ომის წინააღმდეგ მებრძოლ მუშათა კლასს, რომელიც ხელს უშლის მსოფლიოს ხელმეორედ განაწილებას და, რომელიც არ აძლევს საშუალებას იბატონოს თავის შინაურ ბაზარზე“. ამხ. სტალინის მიერ საკავშირო კომპარტიის ბოლშევიკების მე-16 ყრილობაზე წარმოთქმული ეს სიტყვები, თანამედროვე იმპერიალიზმის პოლიტიკის ნათელ სურათს გვაძლევს.

ბრძოლამ ბაზრის გასაფართოებლად და გავლენის მოსაპოებლად გაამწვავა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის (უმთავრესად კი, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, რაც ჰქმნის ომის აუცილებლობის რეალურ საფრთხეს.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დასაწყებად იმპერიალისტური ძალები უმთავრესად ეყრდნობიან საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას.

ამ მისწრაფების სისრულეში მოყვანას ისინი ვერ ახერხებენ საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ მშვიდობიანი პოლიტიკისა და მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ

პროლეტარიატის მიერ გაწეული წინააღმდეგობის წყალობით. მხოლოდ მუშათა კლასის ერთსულოვან გალაშქრებას შეუძლია შეაჩეროს იმპერიალისტური ომის, მოსალოდნელი საფრთხე, ხოლო ის მაინც იფეთქებსო — ჩვენ უნდა ვიღონოთ, რათა ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომად.

ყველა კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში ღრმავდება და ძლიერდება რევოლიუციონურ-კლასობრივი ბრძოლა. ჩინეთის წითელი არმია ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. ინდოეთი მოიცვა რევოლიუციონურ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ. ინდო-ჩინეთში ადგილი აქვს აჯანყებას. ბურჟუაზიულ ჯარებში ხშირად იფეთქებს ხოლმე მღელვარებანი, ინგლისში, გერმანიასა და ევროპის სხვ. სახელმწიფოებში მძვინვარებს ძლიერი საგაფიცვო შეტაკებები, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობენ რევოლიუციონური პროფორგანიზაციები. მასების აქტივობა არაჩვეულებრივად იზრდება და ვითარდება.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ცდილობენ მასების რევოლიუციონური აქტივობის ჩაშლას, პროლეტარიატის რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოსპობას და განადგურებას. საბჭოთა კავშირის დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოები, დაწყებული ფინლიანდიიდან გათავებული რუმინეთით, იმპერიალისტური სახელმწიფოების კარნახით და ხელის შეწყობით შედიან ფაშიზმის სტადიაში.

სოციალ-ფაშიზმი აწარმოებს საზიზღარ მუშაობას და ხელს უწყობს თავის ქვეყნის შეიარაღებას, რათა წაახალისოს ყოველგვარი ანტი-საბჭოთა გამოსვლები, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ. მუშათა კლასის ბრძოლის აქტივობა მიიმართება თეთრი ტერორის სისხლიანი თარეშის ნიშნის ქვეშ. რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრობისათვის ბურჟუაზია შემჩნეულ ამხანაგებს სჯის კატორღა-გადასახლებითა და დახვრეტებით.

ინდო-ჩინეთის რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯა, ლვოვის (პოლონეთი) სასამართლოს მიერ სამ კომკავშირელზე: ამხ. იუგენდის, პროპერისა და გირშის საქმის გამო გამოტანილი სიკვდილის განაჩენი, ინგლისის ჯარში პროპაგანდის გაწევისათვის ეილესსა და რაიენის პროცესი, ათეული ათასზე მეტი რევოლიუციონერები, რომლებიც გამომწყვდეულნი არიან კაპიტალის საპატიმროებში — ნათლად გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად მკაცრია ბურჟუაზიული სასამართლო იმათ მიმართ, ვინც ალმართა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, ვინც დაადგა კაპიტალიზმის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეტევის გზას.

ეს უნდა ახსოვდეს რემედასის ყოველ წევრს, ეს უნდა იცოდეს ჩვენი კავშირის ყოველმა მშრომელმა.

პირველ აგვისტოს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელი მასები რევოლიუციონურ რიგებით სადემონსტრაციოდ გამოიტანენ იმ ფაქტს, რომ ისინი მუდამ მზად არიან მკერდით დაიცვან საერთაშორისო პროლეტარიატის ერთად-ერთი სამშობლო, საბჭოთა კავშირი.

ბურჟუაზიულ ქალაქების ქუჩებში პროლეტარიატი ნიღაბს ახდის ფაშიზმის ვერაგობას და თვალთმაქცობას, ის ფარდას ახდის აგრეთვე ბურჟუაზიის მიერ წარმოებულ „მშვიდობიანობის პოლიტიკას", პოლიციელთა რეზინის ჯოხებსა და სოციალ-ფაშისტების გამცემლურ მოღვაწეობას არ შეუძლია შეაჩეროს პირველ აგვისტოს სადემონსტრაციოდ გამოფენილ პროლეტარიატის რევოლიუციონური სიმღერები. ფაშიზმის ვერაგობას არ შეუძლია ჩაახშოს ინტერნაციონალური ერთსულოვნებით შეკავშირებული მუშათა კლასის ძლიერი ხმა.

საბჭოთა კავშირის რემადასის ორგანიზაციებში გაერთიანებული მრავალ-მილიონი რემედასელები ვალდებულნი არიან კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირდენ იმ დიადი ამოცანების გარშემო, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს მომავალშიაც. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობის სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

ბრძოლა სამრეწველო ფინ-გეგმებისა, დამკვრელობისა და საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარება, პურის დამზადებისა და მოსავლის აკრეფის ამოცანების სრული 100 პროცენტით შესრულება, საშემოდგომო თესვის უზრუნველყოფა და სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლა — მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ყველა რემედასელებს, რათა ისინი იდგენ თავის მოწოდების სიმაღლეზე. აი, რას ავალებს რემადასის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი რემედასის ყოველ წევრს.

აუხსენით ფართე მასებს კლასიური ბრძოლის რაობა და რევოლიუციონურ მოძრაობათა აქტივობის ზრდა საზღვარ-გარეთელ ქვეყნებში. ჩაუნერგეთ მასებს იდეა საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნებისა. ფხიზლად აღევნეთ თვალყური კლასიური მტრის მოძრაობას და მზად იყავით ყოველ შემთხვევისათვის საბჭოთა კავშირის დასაცავად საერთაშორისო იმპერიალიზმისა და კონტრრევოლიუციის ავანტიურისაგან.

მებრძოლ ინტერნაციონალიზმის განმტკიცება ასწევს სოციალისტურ აღმშენებლობის ფერხულში ჩაბმულ მშრომელ მასების ენტუზიაზმსა და რევოლიუციონურ შემოქმედებითი ნაყოფიერებას.

გაუმარჯოს მშრომელ მასების მოწინავე ავანგარდს — რემედასს!

მაღლა ასწიეთ მებრძოლ ინტერნაციონალიზმის დროშა!

წინ, საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის ახალ გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტი.

შვებულებაში მიმავალთა ამოცანები

ზაფხულის პერიოდში საერთოდ იცვლება ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის სისტემა. იცვლება იმ მხრივ, რომ რემედასის აქტივთა დაფანტვა თითქმის მასიურ ხასიათს ღებულობს. ამას ადგილი ექნება მიმდინარე წელსაც. უნდა ითქვას, რომ ზაფხულის პერიოდში შესაძლებელია ორგანიზაციული, მასიურ-სააგიტაციო მუშაობის უფრო მეტად გაძლიერება. რემედასის ორგანიზაციებმა უნდა შეინარჩუნონ ზაფხულის პერიოდში ქალაქად, კერძოდ კი, სოფლად ის მუშაობა და ორგანიზაციული წყობა, რომელიც დღემდის ჰქონდა მას.

უდაოა ის გარემოება, რომ ბევრი რამ ევალება სოფლად შვებულებაში მიმავალს.

შვებულებაში მიმავალთა ამოცანებს უნდა შეადგენდეს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა — სოფლის უჯრედებისადმი. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აქტივის გამოყენების საკითხს. ამ მხრივ კი, მთავარი როლი უნდა იკისრონ სოფლად მიმავალმა ამხანაგებმა.

ზაფხულის პერიოდი დიდ შესაძლებლობას გვაძლევს, რათა სოფლის ორგანიზაციები უზრუნველვყოთ აქტიური და ცოცხალი დახმარების აღმოჩენით, ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ რემედასის ორგანიზაციების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

უკვე დადგა შვებულებაში წასვლის პერიოდი, რაც გამოყენებული უნდა იქნეს რემედასის ორგანიზაციების მიერ მუშაობის მაქსიმალურად გასაძლიერებლად.

შვებულებაში უმთავრესად მიდიან მუშა-მოსამსახურეები, მოწაფეები, უმაღლეს სასწავლების კურსელები და სხვა, რომლებიც დაიფანტებიან საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მათ შორის ძალიან ბევრი იქნება რემედასის ორგანიზაციის არა მარტო უბრალო წევრები, არამედ საუკეთესო აქტივისტი, ორგანიზატორები და პროპაგანდისტი, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ რემედასის სოფლის ორგანიზაციის მუშაობას, აღნუსხონ მიღწევები და ნაკლი, და ამის შემდეგ მისცენ რჩევა-დარიგება ძირითად ორგანიზაციებს ამა, თუ იმ საკითხების შესახებ.

რომ უფრო მეტი გარკვეული ხაზი იქნეს მიცემული შვებულებაში მიმავალთათვის, ამისათვის რემედასის მაზრკომებმა და რაიკომებმა წინასწარ უნდა მოიწვიონ საინსტრუქციო თათბირები, მისცენ კონკრეტიული დავალებანი, მოახდინონ განაწილება და გამორკვევა, თუ რომელ რაიონში მოუხდება ამა, თუ იმ ამხანაგს მუშაობა.

მათი დაბრუნებისას უნდა მოხდეს თვითეული ამხანაგის მიერ ჩატარებული მუშაობის შემოწმება და ამავე დროს მუშაობის უკეთ წარმოების მიზნით შვებულებაში მყოფ ამხანაგებს უნდა ჰქონდეთ კავშირი (წერილობითი, თუ ცოცხალი) იმ რაიონულ კომიტეტთან, სადაც ისინი მუშაობდენ შვებულებაში წასვლამდე.

მოწვეულ თათბირებმა მიზნად უნდა დაისახონ ზაფხულის პერიოდში გეგმიანი მუშაობა, რომ არ შენელდეს მუშაობის ტემპი. ამისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს თათბირების ჩატარებას მასიური მუშაობის დარგში. მიმაგრებულმა ამხანაგებმა ხელმძღვანელობით უნდა უზრუნველყონ, როგორც ორგ. დარგი, ისე ლიტერატურის გავრცელებაც; ხელი უნდა შეუწყონ რემედასის პერიოდულ ორგანოს ჟურნალ „რემედასის" ხელისმომწერთა რაოდენობის გადიდებას, რათა არ დაეცეს მისი ტირაჟი ზაფხულის პერიოდში.

სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა ფართედ უნდა გაიშალოს სოფლად, რათა შვებულთა ქალაქში დაბრუნების შემდეგ ადგილობრივ აქტივს შეეძლოს დაწყებული მუშაობის წარმატება, რათა გაერკვენ ყველა იმ მტკივნეულ საკითხებში, რომლებიც წამოიჭრება რემედასის ორგანიზაციის წინაშე.

რემედასის სოფლის უჯრედების მუშაობაში არ უნდა იქნეს ერთი წუთითაც დავიწყებული ის გარემოება, რომ მშრომელ გლეხობას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს რემედასის ორგანიზაციისათვის, მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ჩვენ მივსცემთ მუშაობის გარკვეულ გეგმას.

შვებულებმა, გლეხთა მასაში რემედასის იდეების პოპულიარიზაციის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა

 კომპარტიის წევრის საჯარო დასჯა ჩინეთში

მიაქციონ საშეფო მუშაობის გაძლიერებას. გლეხობას უნდა უამბოთ საშეფო ციხეებიდან მიღებული წერილების შინაარსი, წავუკითხოთ და გაურკვითო პოლიტ-პატიმართა და მათი უმწეოდ დარჩენილ ოჯახის წევრთა მდგომარეობა, ვესაუბროთ მათ იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ პოლიტ-პატიმრები და რატომ არის საჭირო მათი დახმარების აღმოჩენა!

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობებში, კომუნებსა და საბჭოთა მეურნეობებში რემედასის უჯრედების მუშაობას; უნდა დავრაზმოთ ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობა რემედასის გარშემო. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი უნდა გადავაქციოთ ინტერნაციონალური აღზრდის მთავარ ცენტრად; არა ნაკლები ყურადღების ღირსია ზაფხულის პერიოდში მუშაობის ჩატარება სეზონურ მუშებთან, ქალაქად სადაც გლეხობის საგრძნობი პროცენტი გადმოდის დროებით სამუშაოდ.

ზაფხულის პერიოდში უნდა გამოვიყენოთ პროფორგანიზაციების მიერ მოწყობილი ბაღები საუბრებისა და ექსკურსიების მოსაწყობად რემედასის ორგანიზაციების ხაზით, რაც ხელს შეუწყობს პოლიტ-პატიმართა მატერიალურ და მორალული დახმარების გაძლიერებას.

დ. ხურცილავა.

შევასრულოთ ორგთათბირის დადგენილებანი

რემედასის საკავშირო საორგანიზაციო თათბირის ერთმა დელეგატმა, ამხ. ლოკტიონოვმა (კაზაკსტანი) საორგანიზაციო თათბირის მიერ გამოტანილ ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად თავი დამკვრელად გამოაცხადა და ამავე მიზნით სოცშეჯიბრში გამოიწვია შემდეგი ამხანაგი დელეგატები: 1. პოგედიმსკი (თურქმენისტანის ცეკა), 2. ხილიუტო (უზბეკისტანის ცეკა), 3. ნასარიძე (საქართველოს ცეკა), 4. სადუნოვა (აზერბეიჯანის ცეკა), 5. რადოვსკაია (ივანოვო-ვოზნესენსკი), 6. ტიმონინი (კირგიზეთის რემედასის კომიტეტი), 7. გრიგორიევა (ქვედა-ვოლგის ოლქკომი), 8. მინსკერო (შუა-ვოლგის ოლქკომი), 9. დუბსონი (ჩრდილოეთ-კავკასიის ოლქკომი), 10. კორნიენკო (შორეულ აღმოსავლეთის ოლქკომი), 11. ტოლოკოლნიკა (ქარხანა „წითელი დროშა“).

„ვალდებული ვარ,—წერს ამხ. ლოკტიონოვი:

1. პოპულიარიზაცია გავუკეთო საკავშირო პირველ საორგანიზაციო თათბირის დადგენილებებს და გავატარო ის ცხოვრებაში რემედასის უმრავლეს ორგანიზაციებში.

2. გამოვამჟღავნო ინიციატივა და დამკვრელი მუშაობა რემედასის საორგანიზაციო თათბირის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ჩემს ქვემდებარე ორგანიზაციის ფარგლებში.

3. მუშაობის შედეგები პერიოდულად—თვეში ერთხელ—დაწვრილებით გამოვაქვეყნო „სპუტნიკ მოპროვცა“-ს ფურცლებში.

„სპუტნიკ მოპროვცა“-დან.

რემედასის საქართველოს რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციებს

ძვრიფასო ამხანაგებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში უკვე დაიწყო მოსავლის აკრეფის კამპანია.

ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიაში მონაწილეობის გარეშე ვერ დარჩება რემედასის ორგანიზაცია

ერთის მხრით ჩვენ რეალურად უნდა დავეხმაროთ მოსავლის აკრების კამპანიის წარმატებით ჩატარებას, ხოლო მეორეს მხრით კი—გამოვიყენოთ ეს კამპანია ჩვენი რიგების შესამჭიდროებლად და გასამტკიცებლად.

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას, აძლევს ამ კამპანიაში მონაწილეობას; ამ მიზნით რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილია პრეზიდიუმის ერთი წევრი, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღვანელოს რემედასის საქართველოს ორგანიზაციებს ამ კამპანიაში მონაწილეობის დროს.

ამასთანავე ერთად რემედასის საქართველოს ცეკა ავალებს საოლქო, სამაზრო დარაიონულ კომიტეტებს გამოჰყონ ადგილებზე პასუხისმგებელი, აქტიური და ენერგიული ამხანაგები, რომლებსაც უნდა დაევალოს ამ კამპანიის გაშლა-გაღრმავება, კამპანიასთან დაკავშირებული მუშაობის ირგვლივ, პასუხისმგებლობა როგორც ადგილობრივ ორგანიზაციის, ისე რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის წინაშე.

კამპანიის ჩასატარებლად კონკრეტიული ღონისძიებანი უნდა გამოიმუშაონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. რემედასის საქართველოს ცენტრ. კომიტ. თავის მხრივ მიზანშეწონილად მიაჩნია შემდეგი:

1. რემედასის თვითეულმა უჯრედმა აიღოს შეფობა რომელიმე სამეურნეო არტელზე, საბჭოთა მამულზე, თუ ინდივიდუალურ სექტორზე მათთვის მოსავლის აკრებაში ხელის შესაწყობად.

2. ჩამოყალიბებული იქნას რემედასის წევრებისაგან სპეციალური ბრიგადები, რომლებიც, გამოსასვლელ დღეებში, წავლენ მინდვრად და დაეხმარებიან შეფად აყვანილებს მოსავლის აკრებაში.

4. შეფებმა უნდა გააცნონ შეფად აყვანილებს რემედასის ისტორია, მისი მიზანი და მოვალეობანი, ხელი შეუწყონ რემედასის რიგებში ახალ წევრთა ჩაბმას, არსებული ორგანიზაციის მოსალონიერებლად და ახალის დასაარსებლად.

3. რემედასის ბრიგადებმა უნდა გასწიონ ფართე აგიტაცია სასოფლო-სამეურნეო არტელების რიგების გასამტკიცებლად, მათი რიცხვობრივად გასამრავლებლად და ახალის ჩამოსაყალიბებლად.

4. ამ სადირექტივო ბარათის მიღებიდან ყოველ ათ-დღეში ორგანიზაციები ვალდებულნი არიან აცნობონ რემედასის საქართველოს ცეკას ამ კამპნიაში ქვემდგომ უჯრედების მონწილეობის შედეგების შესახებ.

რემედასის საქართველოს ცეკას პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ჩვენი ორგანიზაციის თვითეული წევრი გაითვალისწინებს მოსავლის აკრების კამპანიის დიდმნიშვნელობას, აქტიურად ჩაებმება ამ მუშაობაში და მით უზრუნველყოფს მის წარმატებით დამთავრებას,

რემედასის საქ. ც. კ. თავმჯდომარის მოადგილე: ნასარიძე

იმპერიალისტების „საქმიანობა“ კოლონიალურ ქვეყნებში

ნაყოფიერად გმუშაობთ

ქ. სილნალის პედაგოგიურ ტეხნიკუმთან, კომკავშირის ხელმძღვანელობით 1926 წელს ჩამოყალიბდა რემედასის უჯრედი.

პირველ ხანებში მუშაობა მოისუსტებდა, რის მთავარი მიზეზი, უჯრედის წევრთა სიმცირე იყო, მაგრამ უჯრედი მალე გაიზარდა (ის აერთიანებს 98-დე მოსწავლეს) და მისი მუშაობაც გამოცოცხლდა, ბიუროს შემადგენლობაშიც არჩეული არიან საკმაოდ მომზადებული ამხანაგები. წევრთა შორის ინტერნაციონალურად აღზრდას სათანადო ყურადღება ექცევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უჯრედში ყურადღება ექცევა ჟურნალ „რემედასი“-ს და საერთოდ რემედასის ლიტერატურის გავრცელებას. უჯრედში ჟურნალის ხელისმომწერლად ითვლება 40 წევრი.

უჯრედი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს რემედასის კვირეულის ჩატარებაში.

გარდა ამისა სასწავლებლის კედლის გაზეთში რემედასს დათმობილი აქვს თავისი კუთხე.

ამ ენერგიულ მუშაობისათვის მადლობის ღირსია უჯრედის მდივანი ამხ. ელენე ნანობაშვილი.

გიორგი იარალოვი.

პირველი აგვისტო

არ ყვინდა ომი!
მაგრამ ვინმემ თუ აგვიტეხა,
თუ შეტევაზე წამოვიდა
მოსისხლე მტერი,————
თავს დავატყდებით
ბოლშევიკურ მრისხანე მეხად,
რომ აღარ დარჩეს
მათი ძვლების ბინძური მტვერიც!
ფრთხილად მსოფლიოვ!
გეშინოდეს შენივე ხალხის!
ის ჩვენსკენ არის!
ჩვენთან ერთად იბრძოლებს მედგრათ!
გესმის გუგუნი: ძირს ომი,
ზიზღით იძახის
და ემზადება იარაღით,
შენს შესახვედრათ!!

ჩვენთან არიან ყველა ქვეყნის
მშრომელი ძმები!
ჩვენს დაძახილზე
ბრძოლის ცეცხლით აენთებიან!
დაჭკრავს საათი საშინელი შურისძიების
და ჩვენთან ერთად
კლასიურ მტერთ ეკვეთებიან!
—მუსრი ბურჟუებს! მუსრი მტარვალთ
და მათ დამცველებს!—
ხმა მოწოდების ქუხილივით
გრიალებს ცაზე!
მილიონები საბრძოლველად
ჰკუმშავენ ხელებს
და მწამს ხანძარიც გაჩაღდება
მთელ ქვეყანაზე!

გ. ქუჩიშვილი.

მუშაობა უნდა გავშალოთ

(წერილი დუშეთიდან)

როგორც ჟურნალ „რემედასი"-ს მეოთხე ნომერში ვწერდით ქ. დუშეთში ბოლო ხანებში რემედასის ორგანიზაციამ ჩამოყალიბებული ხასიათი მიიღო. დაარსდა უჯრედები კავშირებთან, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ზოგიერთი უჯრედი ვერ იჩენს მოქნილობას, ქაღალდზე არსებობს, მხოლოდ თავის მოვალეობას ვერ ემსახურება პირნათლად.

ეს ერთის მხრივ თვით უჯრედების ბრალია, მეორეს მხრივ სარაიონო უჯრედის დანაშაულადაც უნდა ჩაითვალოს, საჭიროა ამ უკანასკნელმა სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიოს უჯრედებს, აღნიშნოს მათი ნაკლი და მიღწევები და მიუთითოს ახალ მუშაობისაკენ. სარაიონო უჯრედის სუსტი ხელმძღვანელობა იმითაც აიხსნება, რომ ბევრი ამხანაგები (რაიუჯრედის წევრები) დუშეთიდან წასულნი არიან, საჭიროა მათ მაგივრად სხვა ამხანაგები აირჩიონ ეხლავე, რომ მუშაობას ხელი არ შეეშალოს. გარდა ამისა დუშეთის უჯრედებში არ სწარმოებს მეცადინეობა თვით რემედასის წევრთა შორის, ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მიმდინარე საკითხებზე; უჯრედებმა ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოასწორონ.

ძალიან მოიკოჭლებს აგრეთვე დუშეთის რაიონში რემედასის უჯრედების მუშაობა გლეხთა მასებში, იგი უმთავრესად ქ. დუშეთის მუშა-მოსამსახურეთა შორის სწარმოებს. ასეთი მდგომარეობის დატოვება ყოვლად დაუშვებელია.

საჭიროა გლეხების შეგნებულად და ნებაყოფლობით ამოძრავება და დარაზმვა რემედასის ორგანიზაციაში. კოლექტივებშიც მდგომარეობა უნუგეშოა, საჭიროა იმ ამხანაგებმა, რომელნიც მიმაგრებულნი არიან რაიონში არსებულ კოლექტივებზე, დაიწყონ მუშაობა ამ გზით. ძალიან მოიკოჭლებს აგრეთვე ამ მხრივ მუშაობა ახალგაზრდათა შორის. არ არსებობს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული რემედასის ახალგაზრდა მეგობართა წრეები. დუშეთში თავმოყრილია ათწლედი, სოფლის ახალგაზრდობის სკოლა (2), პროფტეხნიკური სკოლა (2), ოთხწლედები, საბავშო ბაღი და ინტერნატი საბავშო ხალშენი.

ასეთ წრეში რემედასის ორგან. ფართოდ შეუძლია გაშალოს ფრთები, თუ კი სურვილი და მონდომება იქნება. თვით ჩვენს სასკოლო პროგრამებში განათ. კომისარიატის მიერ უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული მოწაფეთა ინტერნაციონალურ აღზრდას. რემედასის ახალგაზრდა მეგობართა ორგანიზაციის ჩამოყალიბება საუკეთესო საშუალება იქნება ამ მიზნის მისაღწევად, ის ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგიური მეთოდიც იქნება ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში. ამიტომ დუშეთის სკოლების პედკოლექტივებმა ეს საქმე ეხლავე უნდა აკისრონ თავის თავზე და ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში აქტიური როლი უნდა შეასრულონ. დუშეთის სოთოის ახალგაზრდობისა და პროფტეხნიკურმა სკოლებმა, რომელნიც პრაქტიკულ და იდეურ დახმარებას უწევენ სოფელ—აშისა და თანიანთ ჯარის სას. სამ. კოლექტივებმა თავს იდვან ამ კოლექტივებში რემედასის ორგანიზაციის ჩამოყალიბების საქმე.

მხოლოდ ასეთი მონდომებული გარკვეული და აქტიური გზით დუშეთის რაიონის რემედასის უჯრედები შესძლებენ დარაზმონ მასები ამ ორგანიზაციის რიგებში და ჩააბან რაიონის გლეხობა იმ დიად საქმეში, რომელსაც მიზნად ისახავს რევ. მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება.

შ. ლოლთქიფანიძე.

როგორ ეხმარებიან ხობის განათლების მუშაკები რემედასს

(ზუგდიდის მაზრა)

დღეს კლასთა ბრძოლის გამწვავების პერიოდში ყველას ნათლად აქვს წარმოდგენილი „რემედას"-ის მნიშვნელობა და სწორეთ ამიტომ არის, რომ დაბა ხობის განმუშაკთა ადგილკომმა თანახმად საერთო კრების დადგენილებისა, თავის მუშაობის გეგმაში შეიტანა შემდეგი:

1) ერთი დღის ხელფასი გადადებულ იქნას რემედასის სასარგებლოდ.

2) ბულგარეთში რევოლიუციის გამრჯვებამდე ყოველთვიურად გადადებული იქნას ერთი საათის ხელფასი;

3) ახალ სამოსწავლო წლიდან რემედასის ორგანიზაციაში უნდა გაერთიანდეს მოწაფეობის 80 პროც.

4) მშრომელ მოსახლეობას შორის ფართედ იქნეს ამოცანებს პირნათლად შეასრულებს.

შეეწყოს ჟურნალ „რემედას"-ის გავრცელებას. გარდა ამისა განათლების მუშაკთა კავშირის ხობის განყოფილების წევრები რემედასის რიგებში უკვე ჩაბმული არიან 100 პროც.-ით, ხოლო ჟურნალი „რემედასი" გამოწერილი აქვს 60 პროც.-ს.

ვიმედოვნებთ, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელს ჩვენი კავშირის ხობის ადგილკომი ზემოდ ჩამოთვლილ ამოცანებსაც პირნათლად შეასრულებს.

ბ. ქირია.



მოკლული ჩინელი რევოლიუციონერის გვამი

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(წერილი ფოთიდან)

რემელასის ფოთის კომიტეტმა წარსულ წელთან შედარებით დიდი მუშაობა აწარმოოვა, რამაც საგრძნობი ნაყოფი მოგვცა, რაც გამოიხატება შემდეგში:

ფოთის რენეედასის კომიტეტმა სამუშაო გეგმა შეასრულა 100 პროც. გადაჭარბებით.

რემელასის ფოთის ორგანიზაციის რიგებში მე-5 კონფერენციისათვის ითვლებოდა 2689 წევრი, აქედან მამაკაცი 2240, დედაკაცი 449, მუშები 1485, მოწაფე 376 და სხვა 40.

პარტიულობის მიხედვით, კ.პ. წევრი და კანდიდატი 872, ა.ლ.კ.კ. წევრი და კანდიდატი 378, უპარტიო 1439.

ამჟამად ფოთის ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა. შედარებით წარსულ ციფრებთან გაზრდილია შემდეგნაირად: სულ ირიცხება ამჟამად 4168 წევრი. მათში 3030 მამაკაცი, 1138 დედაკაცი, მუშა 1844, გლეხი 183, მოსამსახურე 583, სამხედრო პირები 31, მოწაფე 996, სხვა 531.

კ. პარტ. წევრ-კანდიდატები 582, ა.ლ.კ.კ. წევრი და კანდიდატები 728, უპარტიო 2858.

ორგანიზაციის ზრდასთან ერთად განმტკიცდა წევრთა მასიური და კულტურული მუშაობა. უჯრედების რიცხვი გაიზარდა 34-მდე. საწარმოო 1, დიასახლისთა რიცხვი გაიზარდა 34-დე. არის შემდეგი სახის უჯრედები: საწარმოო 11, დაწესებულების 5, სასკოლო 8, საუბნო 6, სასოფლო 22 და სამხედრო 2.

აგრეთვე თუ გასულ წელს არ არსებობდა ფოთის ორგანიზაციაში „რამის" უჯრედები, ამჟამად ასეთი ჩამოყალიბებულია 7, და მათში გაერთიანებულია 700-მდე წევრი.

აქ უნდა აღინიშნოს უჯრედების სუსტი მუშაობაც მათ არ მოეპოვებათ წლიური საფინანსო გეგმა, რაც უნდა მიეწეროს სარევიზიო კომისიების სუსტ მუშაობას.

გარდა ამისა სარევიზიო კომისიები საერთოდ უმოქმედობას იჩენენ რენეედასის მუშაობაში. უჯრედების მუშაობის გამოკვლევა ერთხელ მოხდა და ისიც უფრო ინსტრუქტორების საშუალებით. სარევიზიო კომისიებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ უჯრედების მუშაობის გამოკვლევაში.

გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ 3 უჯრედი მუშაობდა კარგად, 20 დამაკმაყოფილებლად, 4 მოისუსტებს, 5 სუსტად მუშაობდა. საერთოდ რემელასის ფოთის ორგანიზაციის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

გ. ჟლენტი.

ახალ წვეულებს

ალბად სოფელში თბილი დარია—
ალბად
მზე ჰკოცნის გადაშლილ ველებს
და ყვავილების
გაშლილ არმიას
სოფლის ბავშები
უწვდიან ხელებს...
შენ კოლექტივის რჩეულ მიწაზე
გულგალეღილი დგეხარ ბავშივით
და მომავალი ისე გიტაცებს
როგორც მეომარს
დროშა გაშლილი...
ჩვენც ველით—ძმაო,
სოფლის ამბები—
გვენატრება და
უნდა მოგვიყვეთ
ჩვენც აქ მყოფმა ამხანაგებმა
ძველი
ცხოვრების
ფესვი
მოვგლიჯეთ.
ჩვენ წავალთ მალე
წავალთ ბანაკად
სადაც მზე არის
ცხელი და მწველი.
მოგელოდებათ თქვენ ამხანაგად
ჩვენი გული და
ავჭალის ველი.

ვანიოან დარასელი.

დიასახლისთა შორის

(ტფილისი. ლენრაიკომი, საბ. საიჯ. კომ. სახლი № 8.)

ლენრაიკომის საბ. საიჯ. კომ. სახლი № 8-ში, რემედასის უჯრედი ჩამოყალიბებულ იქნა 1929 წლის დასასრულს.

დიასახლისთა საინიციატივო ჯგუფმა, რემედასის ლენრაიკომის ხელმძღვანელობით მოაწყო საერთო კრება, სადაც ჩამოყალიბდა უჯრედის ბიურო.

ბიურო შეუდგა თავის გარშემო წევრთა შემოკრებას, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო, ბიუროს წევრებს უხდებოდათ ყველა ბინების დავლა და ყველასათვის სათითაოდ ახსნა რემედასის მნიშვნელობისა.

მოკლე ხნის განმავლობაში აღრიცხულ იქნა რემედასის 90 წევრი. ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ ის 230 წევრამდე ავიდა, რომელთაგან 99 პროც. დიასახლისია. შემდეგ ბიურო შეუდგა მასიურ მუშაობას. წარმატებით იქნა ჩატარებული რემედასის კვირეული.

იტალიის საშეფო ციხის პოლიტპატიმრებს, ჩვენმა უჯრედმა გაუგზავნა ვრცელი ბარათი, სადაც აღწერილია ს. ს. რ. კ. მშრომელ ქალთა და დიასახლისთა ცხოვრება.

ა. წ. 3 ივნისს, მოეწყო რემედასის კუთხის გახსნა, რასაც დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა და მოსმენილ იქნა ამხ. ბოკიელის მოხსენება რემედასის მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელს აძლევდენ მრავალ შეკითხვებს, რასაც მომხსენებელი ამომწურავ პასუხს აძლევდა.

რასაც მომხსენებელი ამომწურავ პასუხს აძლევდა.

მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ბიუროს მუშაობის ანგარიში, რომელიც მოწონებულ იქნა კრების მიერ.

დასასრულ ნაჩვენებ იქნა რევოლიუციონური კინოსურათი „შორეული ძმები“.

ბინისკენ მიმავალი დიასახლისები გზა დაგ ზა ამბობდენ: „ნეტავ კიდევ მოეწყობოდეს მსგავსი საღამოები“-ო.

მ. სტრიშკო.

მუშაობა სუსტად არის დაყენებული

(გურჯაანის რაიონი, კახეთის ოლქი)

კახეთის ოლქში რემედასის ბევრი უჯრედები მოისუსტებს. მაგალითად რემედასის მუშაობას არავითარი ყურადღება არ ექცევა მუკუზანის საბჭოთა მამულში.

ადგილობრივ პარტსაბჭოთა და კომკავშირის ორგანიზაციები სრულ უმოქმედობას იჩენენ რემედასის ორგანიზაციისადმი.

უფრო მეტი, ამას წინად რემედასის კახეთის საოლქო კომიტეტმა ადგილობრივად გაგზავნა მოხალისე ინსტრუქტორი რემედასის შესახებ მოხსენების ჩასატარებლად და მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ოლქის წარმომადგენელს დახმარების აღმოჩენის ნაცვლად ხიზი შეუშალეს დაკისრებულ მოვალეობის ასრულებაში.

ჩვენს წარმომადგენელს უპასუხეს: აქ რემედასის უჯრედის ჩამოყალიბება არ შეიძლებაო. საკითხავია, ვინ მოახსენა ამ „ამხანაგებს“, რომ ჩვენს პირობებში, სოფლად დღეს არ შეიძლება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, როგორიცაა რემედასი?

პარტიისა და კომკავშირის ზოგიერთ წევრებს უნდა მოვაგონოთ, რომ ჩვენ არავის ვაპატიებთ რემედასის იდეების ასე აბუჩად აგდებას. ვინა სთქვა, რომ რემედასის ორგანიზაციის მუშაობის გაშლა არ შეიძლება სოფლად? პირიქით, ჩვენი გლეხობა უდიდესი ხალისით და ენტუზიაზმით ხვდება ჩვენს დაძახილს; ის მზად არის ყოველმხრივად ხელი შეუწყოს კაპიტალის პატიმართა განთავისუფლებას. საჭიროა მხოლოდ ოდნავი ხელმძღვანელობა.

ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და თავი უნდა დავანებოთ მამლაყინწობას.

რემედასის რიცხობრივად უჩვეულო ზრდა მაჩვენებელია იმისა, რომ მას მტკიცე ნიადაგი აქვს მშრომელ მოსახლეობაში და ნურავინ შეიკვდება ამ აქტივობის შეკვეცას, თუ რაიმე მოსაზრებით არ სურთ თავი შეიწუჩონ და იმუშაონ.

ნ. უსუფაშვილი.

საფრანგეთის გურჟუაზია ათვალიერებს პოლიციის შეიარაღებულ ძალებს

ჩვენი მონაწილეობა რემედასის მუშაობაში

ქ. ფოთის ათწლედთან არსებული რემედასის უჯრედი ერთ-ერთ საუკეთესო უჯრედათ უნდა ჩაითვალოს რემედასის ფოთის ორგანიზაციაში.

ეს უჯრედი ჩამოყალიბდა 1927 წ. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, უჯრედმა ჩამოყალიბების პირველ დღეებიდანვე გააცხოველა მასიური მუშაობა და სულ მცირე ხნის განმავლობაში შეიძინა 171 წევრი.

ამ რიცხვში შედის—11 მასწავლებელი, დანარჩენები მოწაფეები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ უჯრედის წევრებს პარალელურად სხვა ნებაყოფლობით ორგანიზაციებშიაც უხდებოდა მუშაობა მათ მაინც შესძლეს რემედასის მუშაობის მკვიდრ დონეზე დაყენება.

სკოლაში ჩატარდა მოხსენება-საუბრები რემედასის საერთაშორისო მნიშვნელობისა და კაპიტალისტურ ქვეყნების საპატიმროებში მომწყვდეულ პოლიტპატიმრების მდგომარეობის შესახებ.

მოწაფეთა შორის სისტემატიურად ვრცელდება რემედასის გამოცემები საერთოდ, კერძოდ კი—ჟურნალი „რემედას“.

გარდა ამისა მოწაფეები მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, მაგალითად: ამას წინად პირველი ჯგუფის მოწაფეებმა შეაგროვეს 10 მანეთამდე ფულადი შემოწირულებანი და ის მთლიანად ჩააბარეს ფოთის კომიტეტს რემედასის ფონდის გასაძლიერებლად.

ათწლედთან არსებულმა რემედასის ბიურომ უფრო გააღრმავა თავისი მუშაობა გაზაფხულის პერიოდში, ბიუროს წევრებმა მუშაობა გააჩაღეს კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებში.

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთი რემედასელი ამხანაგების იშვიათი თავდადება და პირნათლად შესრულება თავისი მოვალეობისა. ასეთები არიან მასწავლებლები: **დათიკო გიგინეიშვილი** და **ბესა გოგოლრიშვილი**, მოწაფეებიდან კი — **კატუშა ღოლოგბერიძისა, ანტიმოზი სიხალიდის** და **ზერანგია**. ამ ამხანაგებმა ძალიან ბევრი გააკეთეს ორგანიზაციის სასარგებლოთ.

ყველაზე უფრო აღსანიშნავია და მისასალმებელი ის გარემოება, რომ აღნიშნული ათწლედის მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა დაადგინეს: საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებამდე ყოველთვიურად გადასდვან ერთი დღის ხელფასი ბულგარეთის საპატიმროებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრების სასარგებლოთ.

ფოთელი.

რემედასის საქართველოს ყველა ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლონეთის შლიახტის „ბრწყინვალე" მთავრობა, პოლონეთის დემოკრატიული ბანდიტებისა და ნაძირალების მთავრობა თავის ბინძურ ხელებს კვლავიბანს თავდადებულ პოლონელ რევოლიუციონერების თბილ სისხლში.

მიმიდინარე წლის ივნისის 11-ს ქ. ლვოვში გამოტანილი იქნა სამი ახალი სასიკვდილო განაჩენი. შეუდრეკელი და კეთილშობილი პოლონელ რევოლიუციონერთა ამხ. **ბირის, იუგენდისა** და **პროპერის** აღზნებულ გულები სამუდამოდ უნდა დაიმსხვრან და დადუმდენ.

მათ მოელით საშინელის წამებით სიკვდილი სახჩობელაზე.

ამხედრებული, სისხლიანი მარშალის **პან პილსუდსკის** რკინის, ულმობელ ქუსლის ქვეშ გმინავს მთელი მშრომელი პოლონეთი.

ჩვენი საუკეთესო ამხანაგები: **ბირში, იუგენდი** და **პროპერი** პოლონეთის სისხლიან ფაშიზმის მსხვერპლად ეცემიან.

ამხანაგებო — რემედასელებო!

პოლონეთის ფაშიზმის შეტევას ჩვენ კლასობრივ ფრონტზე ვუპასუხოთ პროლეტარულ პროტესტებითა და სასტიკი გაფრთხილებით.

დაე, თქვენმა ძლიერმა აღშფოთებამ ქუხილივით გადაიაროს ქარხნიდან-ქარხანაში, დაზგიდან-დაზგაში, საამქროდან-საამქროში. დაე, აღსდგენ სოფლები და ქალაქები ერთიან, ძლევამოსილ პროტესტად.

გამოდით ქუჩებში წითელი დროშებითა და მხურვალე სიტყვებით. ერთსულოვან, მტკიცედ შეკ[illegible]ბით, თქვენ სოციალიზმის აქტიურო მშენებელნო, მთელი თქვენის პროლეტარულის ხმის სიძლიერით შესძახეთ პოლონეთის გამხეცებულ ფაშიზმს:

კმარა უიარაღო მუშურ-გლეხურ მასის დახვრეტა კმარა ძალადობა, ტეროორისტული აქტები, კმარა სისხლიან ხელები შორს ამხ. ბირშის, იუგენდისა და პროპერისაგან!

ძირს ფაშისტური პოლონეთის შლიახტა, გაუმარჯოს სოციალისტურ პოლონეთს!

რემედასის საქ. ცეკა.

მ უ შ ა ო ბ ა გ ა მ ო ც ო ც ხ ლ დ ა

(ქუთაისის ოლქი, ამბროლაურის რაიონი)

სოფ. ჭელიაღელეში, ქოხ-სამკითხველოსთან 1924 წლიდან არსებობს რემედასის უჯრედი. უნდა ითქვას, რომ ამ წლის განმავლობაში უჯრედს თითქმის არავითარი მუშაობა არ უწარმოებია. მაგრამ 1929 წლის სექტემბრიდან ახლად არჩეული ბიუროს მეშვეობით, მუშაობა ძალზე გაუმჯობესდა და რემედასის უჯრედი გაჯანსაღების გზას დაადგა. უკანასკნელად უჯრედი აერთიანებს—45 წევრს. ახლად არჩეულმა ბიუროომ შეიმუშავა სამთვიური სამუშაო გეგმა, რომელშიაც დასახული ლონისძიებანი ცხოვრებაში პრაქტიკულად ტარდება, უჯრედში ჩამოყალიბებულია ჟურნალ „რემედასის" მკითხველთა წრე, სადაც მეცადინეობა სისტემატიურად ტარდება. წრეში მეცადინეობის დროს ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი სხვადასხვა საკითხების გარშემო, რამაც წევრთა მომზადების დონე სათანადო სიმაღლეზე დააყენა.

უჯრედი აწარმოებს გაზ. „კოლექტივიზაციის" ხმამაღალ კითხვას, კოლექტივის წევრთა შორის, საწარმოო უბნებში, გამოყოფილი ბრიგადების შემწეობით. მოწყობილია რემედასის კუთხე, რომელიც ლიტერატურის მხრივ ძალზე სილარიბეს განიცდის, მაგრამ უჯრედის ბიუროს დასახული აქვს მიზნად, წარმოდგენების ჩატარება და შემოსული თანხით საჭირო ლიტერატურის შეძენა.

„ეწყობა მასიური შაბათობები კოლექტივის წევრების დასახმარებლად: თოხნაზე, პურის მარგვლაზე და სხვა. უჯრედი აწარმოებდა და აწარმოებს აგიტაცია-პროპაგანდას მოსახლეობის ფართო მასაში, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის შესახებ, თვით უჯრედის წევრები მთლიანად გაერთიანებულია კოლმეურნეობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს უჯრედს მუშაობაში დეფექტებიც: პროსის გავრცელების საქმე ძალზე მოისუსტებს. უჯრედში ვრცელდება ჟურნალი „რემედასი", მხოლოდ ორი ცალი რაიც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მეტის გავრცელების შესაძლებლობა არსებობს, რასაც უჯრედის ბიუროომ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

საწევრო გადასახადების აკრეფა მოუგვარებელია. საჭიროა ფართოდ გაიშალოს სოც. შეჯიბრი, სხვადასხვა უჯრედების გამოწვევით მუშაობის გაჯანსაღების მიზნით —ყველა ზემოთ აღნიშნული დეფექტების ჩამოსწორება. უჯრედის ბიუროს ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს საამისოდ კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობაა საჭირო.

რემკორი მ. მოგცელიძე.

ჩ ვ ე ნ ი ნ ა კ ლ ი დ ა მ ი ღ წ ე ვ ე ბ ი

(წერილი ოდიშიდან)

რემედასის ორგანიზაცია ზუგდიდის მაზრაში ჩამოყალიბდა 1923 წ. მისი მუშაობა პირველ ხანებში ატარებდა სხვა ფორმებს და მეთოდებს, ვიდრე დღეს.

საერთოდ, რემედასის ზუგდიდის მაზრის ორგანიზაციული მუშაობა მოისუსტებდა.

ნებაყოფლობით ორგანიზაციებს შორის რემედასს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, როგორც მთელ საქართველოში, ისე ზუგდიდის მაზრაშიაც. დღეს ყველასათვის ხათელია ის გარეგნება, თუ რა უდიდესი როლი უნდა შეასრულონ რემედასის ორგანიზაციებმა, როგორც ჩვენი

ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის წინაშე.

დღეს განსაკუთრებით რემედასის ყველა უჯრედებმა უნდა გამონახონ სპეციფიური პირობებთან შეფარდებული მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1929 წ. 1 იანვრიდან ჩვენს მაზრაში გვაქვს მთელი რიგი მიღწევები. 1929 წლ. განმავლობაში რემედასის სამაზრკომმა ჩაატარა მთელი რიგი მუშაობა, ხშირად იწვევდა, როგორც ქალაქის, ისე თემისა და სოფლის მასშტაბით აქტივის თათბირებს.

ჩატარებულია ერთჯერ პლენუმი და კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა დადებითი შედეგები. ძირითად უჯრედებში ყველგან შემოღებულია გეგმიანი მუშაობა, რომლებიც მუშაობენ კვარტალური გეგმის მიხედვით. სხვადასხვა საკითხებთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცეოდა მასიურ საგიტაციო-საპროპაგანდო ინტერნაციონალურ საშეფო მუშაობის ძირითადი ორგანიზაციების მონაწილეობა საწარმო მუშაობაში. [illegible]ის გაზეთებში საკითხების გაშუქება. ერთიანი დღეების ჩატარება. პრესის გავრცელების საკითხის მოგვარება; გავრცელდება ჟურნალ რემედასი საკმაო რაოდენობით და სხვადასხვა ბროშურები. მასიური მუშაობის გადატანა ქოხ-სამკითხველოებში.

1929-30 სამოსწავლო წელში შეტანილი იქნა პროგრამა კ. კ. პოლიტკითხვათა ჯგუფებში და პოლიტ-სწავლების წრეებში რემედასის საკითხების გაშუქების მიზნით.

რემედასის ორგანიზაციები მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტური შეჯიბრში, უჯრედები იწვევდენ ერთ-მეორეს და სდებენ ხელშეკრულებებს კონკრეტული საკითხების წამოყენებით.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში ახსნა-განმარტებების ჩატარება წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში რემედასის უჯრედები პირველ რიგში იდგა. რემედასის ორგანიზაციებმა ზუგდიდის მაზრაში მოიპოვეს უდიდესი ავტორიტეტი მშრომელ მასების წინაშე.

ბრწყინვალედ ჩატარდა პარიზის კომუნის 59 წლის თავი და 18 მარტის კამპანია. ამ დღის აღსანიშნავად რემედასის წევრები (ქ. ზუგდიდი, ნარაზენი, ზუგდიდის ხე-ტყის ქარხანა და ხეთა) იხდიან ყოველთვიურად ერთი საათის ხელფასს რემედასის სასარგებლოდ: ამავე დროს გამუშ[illegible] წევრები იხდიან ერთი საათის ხელფასს რემედასის ორგანიზაციის სასარგებლოდ. გერმანიაში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებამდე.

[illegible]თნახევარი წლის განმავლობაში რემედასის ზუგდიდის მაზრის ორგანიზაცია იზრდება და მტკიცდება დღითი-დღე, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივადაც. რომელსაც ადასტურებს აქვე მოყვანილი ციფრები. 1929 წ. 1 იანვრისათვის იყო 70 უჯრედი, 1928 წევრით, ამავე წლის 1 ივლისისათვის წევრთა რიცხვი გაიზარდა 35000 წევრით, 29 წ. განმავლობაში წევრთა ზრდა არის 52 პროც., ანუ 1562 წევრით. 1930 წლის 1 იანვრისათვის უჯრედთა რიცხვი 120: 3898 წევრით. ამავე წლის ივნისისათვის 123 უჯრედი, 6785 წევრით. ზრდა 57 პრ.

ზემო მოყვანილი ციფრები ადასტურებს იმ მდგომარეობას, რომ ზუგდიდის მაზრაში რემედასის რიგებისაკენ ლტოლვა მიმდინარეობს ჩქარი ტემპით. 1930 წ. 1 იანვრისათვის წევრთა რიცხვი უდრიდა 3889. აქედან იყო მამაკაცი 2759, დედაკაცი 1130, მუშები 400, გლეხები 1205, მოსამსახურეები 1000 მოწაფეები 1484, სხვადასხვა 200, პარტიის წევრები და კანდიდატები 245, კ. კ. წევრები და კანდიდატები 1098, უპარტიოები 2546, ეროვნებით: სომეხი 10, რუსი1, დანარჩენი ქართველი.

უადგილო არ იქნება აქვე ავღნიშნო ის გარემოება, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობის ზრდას ადგილი აქვს. მაგალითად, თუ დღეს ირიცხება რემედასის ორგანიზაციაში 6789 წევრი, აქედან რემედასის რიგებში ირიცხებიან 2000-მდე კ. კ. წევრები. კომკავშირის ზუგდიდის სამაზრკომში უდიდესი ყურადღებით ეკიდება კ. კ. მოზიდვას რემედასის რიგებში და ამით ინტერნაციონალური მუშაობის გაძლიერებას. მაგრამ კ. კ. ზოგიერთი უჯრედები ჯერ-ჯერობით ვერ შეეგუენ მას; ვერ აფასებენ რემედასის ორგანიზაციის მუშაობას, რასაც ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ. აქვე უნდა აღინიშნოს საკითხი მესამე თაობასთან მუშაობის შესახებ.

დღემდის ცუდი მდგომარეობაში იყო პიონერთა შორის მუშაობა, ვინაიდან არ ჰქონდათ ძირითად ორგანიზაციებს გარკვეული ხაზი მათთან მუშაობისა. დღეს კი, ეს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულია, ჩამოყალიბებულია 24 რაზმის წრე, სადაც გაერთიანებულია 2000 წევრი რემედასის ახალგაზრდა მეგობრები, წრეებში გაშლილია ინტერ. აღმზრდელობითი მუშაობა.



ფოთი. რკინის გზის საყუდის რემედასის უჯრედის აქტივი კითხულობს ჟურნალ რემედასს.

პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობას წარსულთან შედარებით გამოსწორება ეტყობა, ზოგან ადგილებზე (მაგალითად ფახულანი, ლია, ჯვარი) ადგილი აქვს რემედასის მუშაობის შეუთავსებლობას. ძირითადი პროფორგანიზაციები ვერ აფასებენ იმ დიად ამოცანებს, რომელსაც ისახავენ რემედასის ორგანიზაციები, პარტ-ხელმძღვანელობის საკითხი სუსტია. წალენჯიხა, მუხური, ფახულანი, ჯვარი, ლია და კოკში, მაგალითად მუხურის თემში ვერ ვნახავთ ისეთ პარტიისა და კომკავშირის წევრს, რომ იყოს რემედასის ორგანიზაციის წევრი, მაშინ, როდესაც იქ საკმაო პროცენტი მოიპოვება პარტ-კომკავშირის წევრებისა. ასეთივე მდგომარეობაა ჯვარის და ფახულანის თემებში, რასაც ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ.

ადგილებზე მომუშავე ამხანაგები მაშინ დაფაცურდებიან, როდესაც მაზრიდან მივლინებულ მხანაგს ნახავენ, იძლევიან უსაზღვრო დაპირებებს, რომ ისინი ხელს შეუწყობენ რემედასის ორგანიზაციის მუშაობას, მაგრამ სინამდვილეში ისევ გრძელდება გულგრილობა და უყაირათობა რემედასის ორგანიზაციისადმი.

ზოგიერთი ორგანიზაციებს მაშინ მოაგონდებათ რემედასის ორგანიზაციაში მუშაობა, როდესაც დღის წესრიგში დაისმება რომელიმე კამპანიის ჩატარების შესახებ საკითხი. აქვე უნდა ავღნიშნოთ ძირითადი უჯრედებში რემკორების სუსტი მუშაობა ცენტრალურ პრესებში.

საჭიროა გადავხედოთ ფინანსიური მუშაობის დარგს, რომელიც იძლევა შემდეგ სურათს: 1929 წ. ხარჯთ-აღრიცხვით უნდა შემოსულიყო 3060 მანეთი, ხოლო ფაქტიურად შემოსულია 2884 მან. 34 კაპ. ცხადია, რომ გასული წლის ხარჯთ-აღრიცხვა არ არის ასი პროცენტით შესრულებული. ამას აქვს მისი გასამართლებელი საბუთები, ხოლო რაც შეეხება 1930 წ. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე შემოსული თანხის ჯამი უდრის 4870 მან. 33 კაპ. მაშინ, როდესაც 1930 წ. წლიური ხარჯთ-აღრიცხვა ითვალისწინებს 6280 მანეთის შემოსავალს. აქედან ცხადია, რომ წლიური ხარჯთ-აღრიცხვის შესრულებას ჩვენ უსათუოდ შევძლებთ ნახევარი წლის განმავლობაში.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე შემოსული 4870 მან. და 33 კაპეიკიდან, საწევრო გადასახადი—1003 მან., მაშინ, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვით უნდა შემოსულიყო 900 მან.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა ამტკიცებს, იმას, რომ ჩვენი ფინანსიური მოღვაწეობა გაცილებით უფრო უკეთის მდგომარეობაშია, ვიდრე წინათ იყო, რაც უნდა მიეწეროს მასიური მუშაობის გაძლიერებას.

მთლიანი ინკასიის გატარების შესახებ, რემედასის სამაზრკომის პრეზიდიუმმა ენერგიული ზომები მიიღო. ცეკას დირექტივების თანახმად და ჩაატარა მთელი რიგი თათბირები, სადაც მონაწილეობას იღებდა რემედასის მთელი აქტივი. მოწვეულ თათბირებზე ირჩეოდა შემდეგი საკითხები: მთლიანი ინკასაციის გატარების შესახებ, რემედასის ორგანიზაციების მუშაობა მიმდინარე პერიოდში, აღრიცხვის ჩატარება და სხვა.

თათბირებზე გამოკვლეული იქნა მთელი რიგი მიღწევები და ნაკლოვანებანი. თათბირების დადგენილებაში კონკრეტიულად ნათქვამია, რომ მთლიანი ინკასიის გატარება მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი და ადგილები მოითხოვენ დაკვრითი წესით მის გატარებას.

მომავლისათვის საჭიროა ზუგდიდის მაზრის რემედასის ორგანიზაციამ გააძლიეროს ყურადღება მასიური ინტერნაციონალური აღმზრდელობით დარგში, აქტივის მომზადებაში; კოლექტიურ მეურნეობაში, უფრო მეტი ყურადღების მიქცევა, სტატინფორმაციული მუშაობის მოგვარება საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში მონაწილეობის მიღება, ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა, საშეფო მუშაობისადმი ყურადღების გაძლიერება, სეზონურად მომუშავე მუშებთან. ინტერნაციონალურ-აღმზრდელობით მუშაობის ჩატარება და მათი გაერთიანება რემედასის რიგებში პროფკავშირულ ორგანიზაციების მეტი ხელმძღვანელობა; აი, ჩვენი სადღეისო ამოცანები, რემედასის ორგანიზაციები ჩვენს მაზრაში არ უნდა ჩამორჩნენ ამ ხაზს, რემედასის ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა უნდა შეუფარდონ იმ აღმშენებლობას, რომელიც მიმდინარეობს დროის ჩარჩოში. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ ჩვენი მომავალი მუშაობის გაძლიერებას.

ხ. დ.—კო.

თეთრი ტერორის მოძრაობა.

პოლონეთი: ვარშავის პოლიცია თავს დაესხა მუშა ქიმიკოსთა სახლსა და მტვირთავთა პროფკავშირს, დაპატიმრებულია 40 კაცამდე. ვარშავაში პოლიციამ დახურა ფეხსაცმელების წარმოების მუშათა პროფკავშირი.

„ანტი-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის" ლიუბლინის სასამართლომ 6 წ. კატორღა მიუსაჯა სეიმის ყოფილ დეპუტატებს: **მაკავჩას, შერბაკსა** და **კოსტას**; გარდა ამისა იმავე საქმეზე სამ სხვ. ბრალდებულს მიესაჯა 4 წ. თვითეულს, ხოლო ერთ მათგანს კი — 2 წ.

ვილნოს სასამართლომ სეიმის დეპუტატს ვალნიცკის მიუსაჯა 2 წ. პატიმრობა, იმისათვის, რომ ის მიესალმა დასავლეთ-ბელორუსეთის გრომადას.

ლიდის მაზრაში და დომბროვის აუზში ფაშისტური დრუჟინებმა და გადაცმულმა „შპიკებმა" დასჭრეს მუშათა და გლეხთა ბლოკის დეპუტატები: გავრილიუკი, დვორჩანინი, გრეცკინი და როსიაკი.

როვნოში, უკრაინელი მწერლის ტ. შევჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს 192 მონაწილე დააპატიმრა პოლიციამ.

ლატვია: რიგაში პოლიციის მოხელეებმა გარეკეს კრება, რომელიც მოაწყვეს მემარცხენე მუშებმა პოეტი **ვლ. მაიაკოვსკის** ხსოვნის აღსანიშნავად.

რუმინეთში: ბორჯში, ბუქარესტში და გალაცაში ფაშისტურმა ბანდებმა დაარბიეს მშრომელი ებრაელები.

კიშინიოვში დააპატიმრეს 21 კაცი, რომლებმაც ხელი შეუშალეს ფაშისტურ ორგანიზაციას დღესასწაულის ჩატარებაში. ყველა დაპატიმრებულებს სასტიკად სცემეს.

სამხრეთ ბესარაბიაში თითქოს აღმოაჩინეს არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია. ჩაატარეს მასიური დაპატიმრებანი. დაპატიმრებულთა შორის არიან — მეფუნთუშე ფინკელი, სტუდენტი იაროსლავსკი და სხვ.

საბერძნეთში: დრამაში, თამბაქოს პლანტაციის გაფიცულ მუშებსა და ჟანდარმერიას შორის ადგილი ჰქონდა შეტაკებებს. 8 მუშა წაყვანილია მძევლად. ბევრი დაჭრილი და დასახიჩრებულია.

ათინაში პოლიცია თავს დაესხა რევოლიუციონურ მუშათა კრებას. შეტაკების დროს დაიჭრენ ამხ. **გეორგოპოლოსი,** და თიოდისი. დაპატიმრებულია კრების 16 მონაწილე.

გერმანია: სხვადასხვა რაიონებში ფაშისტებმა მოაწყვეს ორგანიზაციული თავდასხმები რევოლიუციონურ მუშებზე. მოკლულია სამი მუშა, მათ შორის 2 კომუნისტია. რამოდენიმე მუშა მძიმედ დაიჭრა.

ქ. პირმაზენში მუშებს რევოლვერები ესროლეს ნაციონალუ-სოციალისტების ჯგუფის წევრებმა. მოკლულია ერთი მუშა, დაჭრილია 19.

1929 წ. მაისის პირველიდან — 1930 პირველ მაისამდე დემონსტრაცია მიტინგების გარეკვის დროს მოკლულია 42 კაცი. ერთი წლის განმავლობაში მოეწყო 42.347 პოლიტიკური პროცესი რევოლიუციონერ მუშების წინააღმდეგ.

იტალია: მარტინა ფრანკაში ფაშისტური ბანდების მიერ ჩაქრობილი იქნა გლეხთა აჯანყება. მოკლულია 70 აჯანყებული, დაჭრილ და დაპატიმრებულთა რაოდენობა ასეულს უდრის.

შვეცია: ნორტჩეპინში ადგილი ჰქონდა მუშათა დემონსტრაციისა და პოლიციელთა შორის სისხლიან შეტაკებას. დაპატიმრებული კომუნისტი ამხ. რიუსტელი, რომელიც ვრცელი სიტყვით გამოვიდა დემონსტრაციის დროს.

ინგლისი: მთავრობამ აკრძალა საერთაშორისო ზანგი მუშების ყრილობა ლონდონში.

ჩ. ა. შ. შტატები: ატლანტაში ზანგ მუშათა კონგრესს თავს დაესხა პოლიცია, დაპატიმრებულია 6 მუშა, რომლებსაც ბრალდება შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება.

ლოს-ანჟელოში დააპატიმრეს მასწავლებელი ქალი იეტა სტრომბერგი; ის გაასამართლეს და მიუსაჯეს 10 წლის ვადით პატიმრობა პიონერთა ბანაკში წითელი დროშის აწევის გამო.

იაპონია: სეიტამის რაიონში პოლიცია თავს დაესხა ფაბრიკა განეგაფუჩის გაფიცულ მუშებს. მძიმედ დაჭრილია 12 მუშა.

1929 წ. მარტში შეპყრობილ რევოლიუციონერთა რიცხვიდან 124 კაცს, საერთო ჯამით მიესაჯა 785 წ. პატიმრობა. ასეული სხვა პატიმრები მოელიან გასამართლებას და სასამართლოს სასტიკ განაჩენს.

ახლო მომავლისათვის მოსალოდნელია 35 მუშის პროცესი, სადაც უმთავრეს ბრალდებულად ითვლებიან: ფუკუმოტო კაზუა, არახატა, სანო მანაბუ და სხვ.

ლოლაპურში შემოღებულია სამხედრო წესები. ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული სამხედრო სასამართლოები.

ხანაპურში შეიპყრეს რევოლიუციონურ „წითელ ხალათების“ ჯგუფის ხელმძღვანელები. დარგაიში, გოგატში, ბანუსა და ჩარდსადში დაპატიმრებულნი არიან რევოლიუციონურ „წითელ ხალათების“ ადგილობრივი ჯგუფები.

რემედასის მუშაობა ყაზბეგში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რემედასის ორგანიზაციებს ემჩნევა უდიდესი წამრატება უკანასკნელ წლებთან შედარებით, არის ზოგიერთი ისეთი რაიონები, სადაც ჯერ კიდევ ყველაფერი ვერა თავის რიგზე დაყენებული.

რემედასის ბეჭდვითი ორგანოებში არა ერთხელ ყოფილა ხაზგასმით აღნიშნული ის გარმოება, რომ ადგილებზე ზოგიერთი „მოწინავე“ ამხანაგები სათანადოთ ვერ აფასებენ ჩვენი ორგანიზაციის უალრესად ინტერნაციონალურ მნიშველობას.

მიუხედავად იმისა, რომ რემედასის ორგანიზაციას უდიდესი ამოცანების შესრულება ეკისრება მსოფლიო მასშტაბით ამ შრომისა და კაპიტალის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს, ბევრგან, ადგილებზე, პარტ. საბჭოთა ორგანოები, აგრეთვე პროფესიონალური და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო შეფასებას ვერ აძლევენ რემედასს და მის რიგებში მშრომელ მოსახლეობის აქტიურად ჩაბმას.

ამ მხრივ არც ყაზბეგის რაიონშია სახარბიელო მდგომარეობა. აქ რემედასის მუშაობა თითქმის აღარ სჩანდა, ის სრულიად უმოქმედო მდგომარეობაში იყო და არის დღესაც.

ამ გარემოებას ყურადღება მიექცა ვისგანაც ჯერ არს და უკანასკნელ ხანებში მიღებული იქნა ზომები დღემდის არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

ამას წინად აღნიშნულ რაიონს ეწვია რემადასის საქ. ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დ. ნასადიძე, რომელმაც გამოარკვია, რომ ყაზბეგის რაიონში რემედასის ხაზით არ სწარმოებდა არავითარი მუშაობა.

მოწვეულ იქნა რემედასის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობისა და რემედასის საკავშირო საგიტაციო-საპროპაგანდო და ორგთათბირის შედეგების შესახებ ვრცლად მოხსენება გააკეთა ამხ. **ნასარიძემ.**

მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმმა გამოჰყო ამხ. ტყეშელაძე, რომელსაც დაევალა დაუყოვნებლივ ჩაატაროს რაიკომის მასშტაბით რემედასის ბიუროს წევრთა გადარჩევის კამპანია.

მასვე დაევალა აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში „ახალგზიტი“-ს მუშებსა და სხვ. ჩამოაყალიბოს რემადასის უჯრედები.

ამ მუშაობის ნაყოფიერად ჩასატარებლად პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე მაქსიმალურად გამოყენებული იქნან ნებაყოფლობითი ინსტრუქტორთა კადრები. მათვე ევალებათ მშრომელ მოსახლეობაში ჩაატარონ ფართე ახსნა-განმარტებითი კამპანია რემედასის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ. აქტივთა კადრებს დაევალა ამავე დროს ხელი შეუწყოს რემედასის პერიოდულ და არაპერიოდულ ლიტერატურის ფართედ გავრცელებას და სხვ.

პრეზიდიუმმა მიიღო აგრეთვე დადგენილება დაკვრითი წესით იქნეს ცხოვრებაში გატარებული რემედასის თანხების ინკასაცია ფოსტის საშუალებით.

პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. ტყეშელაძეს რაიკომის მასშტაბით ახალ ჯგურედების ჩამოყალიბებასთან ერთად აწარმოოს ყოფილი ხელმძღვანელი ამხანაგების მუშაობის გამოკვლევა, რომლის შედეგები უნდა მოხსენდეს რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტს.

რემედასის იდეების პოპულიარიზაციისა და გლეხთა ფართე მასის ინტერნაციონალური ერთსულოვნების პრინციპების მიხედვით აღასზრდელად აუცილებლად იქნა ცნობილი რაიკომის მასშტაბით რემედასის კუთხეების ქსელის გაფართოება.

მიღებულია დადგენილება აგრეთვე რაიკომის მასშტაბით მომუშავე უჯრედთა შორის სოცშეჯიბრის უფრო გაძლიერება - გაფართოვების შესახებ, რამაც ეგრთიერად უნდა გააცხოველოს რემედასის ნაყოფიერი მუშაობა.

„

პრეზიდიუმმა დაადგინა: მომავალ სამოსწავლო წლიდან მოწაფეთა სრული 100 პროც. იქნეს ჩაბმული რემედასის რიგებში.

რაც შეეხება რემედასის საკ. ცენტრალურ კომიტეტის საგიტ. საპრ. და ორგთათბირების დადგენილებებს, **რაიკომი კისრულობს ამის შესახებ რემადასის საქ. ც. კ. მითითებები რული 100 პროც. გაატაროს ცხოვრებაში.**

ამრიგად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყაზბეგის რაიონში მოკლე ხანში გამოსწორებული იქნება ის ნაკლი, რომელიც დღემდის ახასიათებდა რემედასის მუშაობას.

კლდე.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. რედაქტორი: **შამშე ლეჟავა**

ტფილისი საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 1691. შეკვ. № 2418. ტირაჟი 11.00ს.

ფასი 20 კაპ.

გამოიწერეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

1930 რემედია 1930

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; პატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საპყრობილეებში; რემედასის, როგორც **საბჭოთა პავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.**

ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით	20 კაპ.	ექვსი თვით	1 მ. 15 კაპ.
სამი თვით	60 „	ცხრა თვით	1 „ 70 „
		ერთი წლით	2 „ 20 „

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასეული, უჯრედი, ქოხ-სამკითხველო, მუშა-მოსაძსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვაღვივებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებო და ბეჭვდითი სიტყვის ორგანიზატორებო იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს. როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, რაიონულ კომიტეტებსა და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მოწერლებს.

რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.